ალტე უნივერსიტეტი

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტი

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების
შედეგები
(კონსოლიდირებული ანგარიში)

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის ძირითადი დანიშნულებაა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასება, სწავლებისა და კვლევის ხარისხის კონტროლი, მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი. აღნიშნულის რეალიზაციის მიზნით უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა კვლევები ხარვეზების გამოსავლენად, რომელთა შედეგების ანალიზის საფუძველზე ყალიბდება რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად.

2021-2022 სასწავლო წელს დაიგეგმა და განხორციელდა:

აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლის მიერ პროგრამების შეფასება;

აკადემიური/მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების შეფასება;

სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება;

დისტანციური/ელექტრონული სასწავლო პროცესის და სერვისების შეფასება;

სკოლების ადმინისტრაციის შეფასება;

პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასება (მ.შ. თვითშეფასების მექანიზმის

გამოყენებით);

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების და კვლევით საქმიანობაში ჩართულობის შეფასება;

ინტერნაციონალიზაციის მდგომარეობის შეფასება.

კვლევების შედეგად დაწესებულებაში სხვადასხვა მიმართულებით გამოიკვეთა ცალკეული ხარვეზები, რომელთა დროული აღმოფხვრა როგორც ინსტიტუციის შემდგომი განვითარების, ისე სტუდენტა საუკეთესო ინტერესების დაკმაყოფილების აუცილებელი პირობაა.

აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამების შეფასების ანალიზმა აჩვენა უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების შემდგომი დახვეწის და განვითარების საჭიროება.

კერძოდ:

სამართლის სკოლის ორივე საგანმანათლებლო პროგრამა - სამართლის საბაკალავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამები - გარკვეული ცველილებების განხორციელებას საჭიროებს. კერძოდ: 1) სამართალის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სასწავლო მასალა საჭიეროებს განახლებას, ასევე სასურველია პროგრამას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსის სახით აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები, რაც ხელს შეუწყობს სტუდნტების კვლევითი უნარების განვითარებას, ასევე პროგრამას დაემატოს არჩევითი სასაწავლო კურსები სფეროში გამოკვეთილი აქტუალური თემების დასაფარად და ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; 2) სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სასწავლო მასალაც საჭიეროებს, ცალკეულ შემთხვევებში განახლებას, გასაძლიერებელია პრაქტიკული კომპონენტი (სასურველია ისეთი სასწავლო კურსების ფარგლებში პასიური პრაქტიკის გამოყენება, როგორიცაა საპროცესო უნარების განმავითარებელი პრაქტიკული კურსები), ასევე ინგლისური ენის სწავლება (სასურველია ინგლისურენოვანი დარგიბრივი სასწავლო კურსის დამატება).

ბიზნესისა სკოლის სამივე პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო, ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამები - გარკვეულ ცვლილებებს საჭიროებენ. კერძოდ: 1) <u>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო</u> პროგრამაში სასურველია დაემატოს ტრანსფერული უნარების განმავითარებელი თავისუფალი სასწავლო კურსები; 2) <u>ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო</u> პროგრამაში სასურველია პრაქტიკის კომპონენტის სწავლების მე-4 წელს განხორციელება, ნაცვლად სწავლების მე-3 წლისა; ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება; ასევე პროგრამის გამდიდრება საკუთრივ ტურიზმის სფეროს (დარგობრივი) სასწავლო კურსებით, სწავლის შედეგების უკეთ მისაღწევად.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საგანმანათლებლო პროგრამები - საერთაშორისო ურთიერთობები (საბაკალავრო), ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოება (სამაგისტრო), ინგლისური ფილოლოგია (საბაკალავრო) - საჭიროებენ შემდეგი სახის ცვლილებებს: 1) დასადგენია, რამდენადაა შესაძლებელი <u>ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო</u> პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა (C1 დონე) პროგრამის ცალკეულ კომპონენტებზე მინიჭბული კრედიტების მოცულობის გათვალისიწნებით (აუიცლებელია შესაბამისი საკონტაქტო საათების გაზრდა), ამასთა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია მოსაყვანია შესაბამისობაში სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან; 3) <u>საერთაშორისო</u> <u>ურთიერთობების საბაკალავრო</u> პროგრამა საჭიროებს დეტალურ შესწავლას პროგრამის კომპონენტებს შორის შესაძლო დუბლირებების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით; ასევე შესამოწმებელია, რამდენად რელევანტურია პროგრამის შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები; 3) ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამაში სასურველია დაემატოს ახალი არჩევითი სააწავლო კურსები; უარი ითქვას ე.წ. ,,კურაციულ სწავლებაზე", როდესაც ყოველი სასწავლო კურსი ამოიწურება 3-4 კვირაში, შემდგომ იწყება მომდევნო სასწავლო კურსის ანალოგიური ორგანიზებით სწავლება; 4) ,,ჟურნალისტიკის" საბაკალავრო პროგრამა, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინრე, უნდა ითვალისწინებდეს კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-3 კომპონენტს - პასუხისმგებლობა და

ავტონომიურობა, რაც აუცილებელს ხდის შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას როგორც პროგრამის სწავლის შედეგებში, ისე სილაბუსებში და კურიკულუმის რუკაში. 4) ქართულ ენაში მომზადების პროგრამა საჭიროებს შემდეგ ცვლილებებს: საკონტაქტო საათების გაზრდას, სწავლების და შეფასების მეთოდების გამდიდრებას, დაშვების წინაპირობების მოდიფიცირებას.

მედიცინის საერთაშორისო ურთიერთობათა სკოლის ორივე პროგრამა - ერთსაფეხურიანი ,,მედიცინა" და ,,სტომატოლოგია" - საჭიროებენ მნიშვნელოვან ცვლილებებს: 1) ,,მედიცინის" პროგრამაში გადასახედია ინტეგრირებული სასწავლო კურსების სილაბუსები და უზრუნველსაყოფია რეალური ინტეგრაცია, სისტემების მიხედვით სწავლება, ასევე დასანერგია სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები, გასაწერია OSCE-ს პოლიტიკა, გასამდიდრებელია პროგრამის მატერიალური რესურსი; 2) ,,სტომატოლოგიის" პროგრამაში დასანერგია სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები, გასაწერია OSCE-ს პოლიტიკა, გასამდიდრებელია პროგრამის მატერიალური რესურსი (მ.შ. პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის, უნდა შეიქმნას უნივერსიტეტის შენობაში სტომატოლოგიური კაბინეტი შესაბამისი ინფრასტრუქტურით).

სტუდენტთა მიერ პროგრამების შეფასების ანალიზმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმაანთლებლო პროგრამები საჭიროებენ შემდეგიცვლილებების განხორციელებას:

სამართალი (საბაკალავრო პროგრამა):

1. გასამრავალფეროვნებელია სასწავლო მასალა;
2. გასაძლიერებელია პრაქტიკული სწავლება;
3. უფრო აქტიურადაა გამოსაყენებელი იმიტირებული პროცესები როგოც სწავლების მეთოდი;
4. გადასახედია სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტები და გასაზრდელია;
5. რიგ სასწავლო კურსებში (მაგ. სისხლის სამართალი, საპროცესო უნარები და სხვ.) გასაზრდელია საკონტატო საათების მოცულობა.

სამართალი (სამაგისტრო პროგრამა):
1. აქტიურადაა გამოსაყენებელი განმავითარებელი შეფასება;
2. გასაახლებელია სასწავლო მასალა.

ბიზნესის ადმინისტრირება (საბაკალავრო პროგრამა):

1. დასახვეწია შეფასების კრიტერიუმები, რათა უფრო გამჭვირვალე გახდეს;
2. სწავლებისას ინტენსიურადაა გამოსაყენებელი ,,ქეისები";
3. დასაკორექტირებელია შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები;
4 გადასახედია ცალკეული სასწავლო კურსების კრედიტები.

ბიზნესის ადმინისტრირება (სამაგისტრო პროგრამა):

1. შესაცვლელია ზოგირთი არჩევითი სასწავლო კურსის კრედიტი;

2. ზოგ ემთხვევაში დასაკორექტირებელია შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები.

ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი (საბაკალავრო პროგრამა):

1. მოსაზიდია მაღლკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
2. გასამრავალფეროვნებელია ტურიზმის სფეროს სასწავლო კურსები;
3. პრაქტიკას უნდა შეეცვალოს განხორციელების სემესტრი.

ჟურნალისტიკა (საბაკალავრო პროგრამა):

1. დასაკორექტირებელია პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად;
2. უფრო მეტი პრაქტიკული მეთოდია გამოსაყენებელი სწავლებისთვის;
3. სწორადაა განსასაზღვრი პრერეკვიზიტები.

ინგლისური ფილოლოგია (საბაკალავრო პროგრამა):

1. მოსაზიდია მაღალკვალიფიციური კადრები;
2. უზრუნველსაყოფია სწავლების შემდგომსაფეხურზე გადასვლა;
3. გასაზრდელია პრაქტიკის კრედიტი.

საერთაშორისო ურთიერთობები (საბაკალავრო პროგრამა):

1. გასაახლებელია სასწავლო მასალა, რომელიც მასალა უნდა იძლეოდეს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას;
2. გასაძლიერებელია პრაქტიკული კომპონენტ;
3. აღმოსაფხვრელია პროგრამის კომპონენტებს შორის დუბლირება.

საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოება (სამაგისტრო პროგრამა):

1. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოსაყალიბებელი;
2. გასამრავალფეროვნებელია არჩევითი სასწავლო კურსები;
3. გასაახლებელია სასწავლო მასალა;
4. გასაძლიერებელია პრაქტიკის კომპონენტი (სასურველია უცხოეთში პრაქტიკის დანერგვა);
5. გასასწორებელია სილაბუსებში არსებული ხარვეზები/უზუსტობები.

მედიცინა (ერთსაფეხურიანი პროგრამა):

1. გასაახლებელია სასწავლო მასალა;
2. დასაკორექტირებელია შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები;
3. დასახვეწია შეფასების მეთოდები;
4. მოსაზიდია მაღალკვალიფიციური პერსონალი;

5. გასაძლიერებელია კლინიკური სწავლება;
6. გასასწორებელია სილაბუსებში არსებული ხარვეზები/უზუსტობები;
7. უზრუნველსაყოფია დასაქმების ბაზრის მოთხოვნები;
8. გასაზრდელია საკონტაქტო საათები კლინიკურ ბაზებზე სწავლებისას;
9. გასაზრდელია არჩევითი საგნების რაოდენობა და სემესტრები.

<u>სტომატოლოგია (ერთსაფეხურიანი პროგრამა):</u>

1. გასაახლებელია სასწავლო მასალა;
2. დასახვეწია შეფასების მეთოდები;
3. გასაძლიერებელია კლინიკური/პრაქტიკული სწავლება.

<u>კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასება</u>

ბიზნესის, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების აზრი დაემთხვა. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პრაქტიკული უნარების განვითარება და საფეხურის შესაბამიზი ზოგადი, ანალიტიკური, კომუნიკაციური (მ.შ. უცხო ენაზე), ლიდერული უნარების განვითარება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად პროგრამებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შესაბამისი სასწავლო კურსების ან/და სწავლების და შეფასების მეთოდების დანერგვას. აღნიშნულის საჭიროება, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების აზრით, ყველაზე უფრო მკვეთრად იგრძნობა ჟურნალისტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამებში.

მედიცინის და სტომატოლოგიის სფეროს დამსაქმელებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს კლინიკური უნარების განვითარებაზე, საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და დოკუმენტირების უნარების განვითარებაზე, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით მოქმედებისა და პასუხისმგებლიანი გადაწყყვეტილების მიღების შესაძლებლობაზე, რაც ყალიბდება საფუძვლიანი თეორიული ცოდნის დაუფლების და მისი ეფექტიანად გამოყენების ჩვევების განვითარების შედეგად.

<u>კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი</u>

<u>კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების ანალიზის შდეგად გამოიკვეთა შემდეგი საჭიროებები:</u>

1. <u>პროგრამების მიზნების და სწავლის შედეგების ჩამოყალიბება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით;</u>
2. <u>მიღების წინაპირობების განსაზღვრა პროგრამის მიზნების შესაბამისად;</u>
3. <u>მისაღები კონტინგენტის დაგეგმვა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;</u>
4. <u>ზოგადი უნარების განმავითარებელი კომპონენტის გაძლიერება;</u>
5. <u>საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება.</u>

<u>პერსონალის კმაყოფილება</u>

<u>აკადემიური/მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზმა გამოკვეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა, დატვირთვის რაციონალური გადანაწილების საჭიროება (ეს უკანასკნელი</u>

ეხება ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს).

ინტერნაციონალიზაციის ასპექტი

სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის რეალიზაციის შედეგების შეფასების შედეგებმა აჩვენა გაცვლითი პროგრამების გაფართოვების, ერთობლივი პროგრამების დანერგვის, უცხოელი ლექტორების მოზიდვის, საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციის ჩატარების საჭიროება, ხოლო პერსონალის მიერ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის რეალიზაციის შედეგების შეფასების ანალიზმა გამოკვეთა საერთაშორისო მობილობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და შესაბამისი შეთავაზებების გაზრდის აუცილებლობა, საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების განხორციელების საჭიროება, სწავლების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საჭიროება.

სტუდენტების/პერსონალის მიერ დისტანციური/ელექტრონული სასწავლო პროცესის და სერვისების შეფასების შედეგების ანალიზმა გამოკვეთა შემდეგი საჭიროებები:

1. სერვისების შეუფერხებლად მიწოდების მიზნით emis-ის პროგრამის რესურსების სრულად ათვისება და მისი შემდგომი დახვეწა;
2. სწავლების და შეფასების დისტანციური/ელექტრონული სწავლებისას რეკომენდირებული მეთოდების გამოყენება სრული დატვირთვით და რელევანტურად ყველა სკოლაში და ლექტორებისთვის შესაბამისი საინფორმაციო შეხვედრის განმეორებით ჩატარება;
3. ალტერნატიული ელ. პლატფორმების გამოყენების შესაძლებლობის გაფართოვება;
4. მოქნილი საგამოცდო ცხრილის შეთავაზება სტუდენტებისათვის.

ასევე გამოიკვეთა სტუდენტების კმაყოფილება ელექტრონული კანცელარიით და საბიბლიოთეკო სერვისით, ასევე დისტანციურად/ელექტრონულად მუშაობის ხელშეწყობისათვის შესაბამისი ინფორმაციის/ინსტრუქციების გაზიარებით.

სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგების ანალიზმა გამოკვეთა შემდეგი საჭიროებები:

1. პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
2. სტუდენტების მხრიდან ნეტიკეტის წესების დაცვის წახალისება;
3. სტუდენტთა დასწრების მაჩვენებლის ამაღლება.

უნივერსიტეტის სკოლების სასწავლო და კვლევითი საქმიანობის, ასევე თვითშეფასების ანალიზმა გამოავლინა შემდეგი საჭიროებები:

1. საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებსა და სხვადასხვა ტიპის აქტივობებში მონაწილეობის წახალისება;
2. სამეცნიერო ნაშრომების მაღალრეიტინგულ, მ. შ. უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების ხელშეწყობა;
3. პერსონალის ეროვნულ და უცხოურ საგრანტო პროექტებში

მონაწილეობის ხელშეწყობა;

4. სასწავლო პროცესში ალტერნატიული და ნოვატორული მიდგომების დანერგვის წახალისება;
5. საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწაში და განვითარებაში აქტური ჩართულობის უზრუნველეყოფა.

უნივერსიტეტის სტუდენტების კველევით საქმიანობაში ჩართულობის შეფასების შედეგების ანლიზმა გამოკვეთა სტუდენტთა კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებლის ამაღლების საჭიროება მათი კვლევითი უნარების განვითარებისა და მოტივაციის ამაღლების მეშვეობით.

სკოლების მიხედვით უნივერსიტეტის სტუდენტების აკადემიური მოსწრების (GPI) მდგომარეობის კვლევის შედეგების ანალიზმა გამოკვეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ნუსხა. ესენია:

1. ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება;
2. ტრანსფერული უნარების განვითარება;
3. აკადემიური წერის სტანდარტების დაცვა;
4. ინდივიდუალური მიდგომების გააქტიურება და სამოტივაციო ღონისძიებების გატარება;
5. ,,offline" სწავლებაზე გადასვლა.

სკოლების მიხედვით გაუსის განაწილების დიაპაზონის ანალიზმა აჩვენა, რომ განსახორციელებელია ცვლილებები ცალკეულ სასწავლო კურსებში. კერძოდ, შესაბამის სასწავლო კურსებში გადასახედია:

1. სწავლის შედეგები;
2. შინაარსი და სასწავლო ლიტერატურა;
3. საათების განაწილება, სწავლა/სწავლების და შეფასების მეთოდები;
4. პრერეკვიზიტები.

ამასთანავე, საჭიროა მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოზიდვა, არსებული პერსონალის გადამზადება.

SWOT ანალიზის შედეგების მიხედვით უნივერსიტეტის სუსტი მხარეებია:

1. პერსონალის დაბალი სამეცნიერო აქტივობა;
2. პერსონალის პროფესიული განვითარების არასაკმარისი ხელშეწყობა;
3. უცხოელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სიმწირე;
4. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემის მუშაობის ხარვეზები;
5. უცხო ენის სწავლების არასაკმარისი დონე;
6. ადამიანური რესურსი სიმწირე.

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის რეკომენდაციები:

1. განხორციელდეს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი მოდიფიცირება გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით:

ა) გაძლიერდეს ინგლისური ენის, ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კომპონენტები, განხორციელდეს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე და ეფექტური მეთოდების გამოყენება, განახლდეს სასწავლო მასალა;

ბ) გაძლიერდეს პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ელემენტები - უცხოელი პედაგოგები, ინგლისურენოვანი სასწავლო რესურსის გამოყენება, ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების დანერგვა;

2. გატარდეს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების პედაგოგიური და დარგობრივი კომპეტენციის ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებები, მ.შ.საერთაშოროსო მობილობის ხელშეწყობა;

5. განხორციელდეს სტუდენტთა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვლევითი აქტიურობის, მ.შ. საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის, წახალისებაზე ორიენტირებული ღონისძიებები;

6. გაიზარდოს ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის რაოდენობა და უზრუნველყოფილ იქნას სტრუქტურული ერთეულების ოპტიმალურად დაკომპლექტება

7. განხორციელდეს გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაცია

8. დაინერგოს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები;

9. განხორციელდეს სასწავლო პროცესზე დაკვირვების მექანიზმის ეფექტურად გამოყენება, დაინერგოს კოლეგიალური შეფასების მექანიზმი;

10. გატარდეს ღონისძიებები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დახვეწის უზრუნველსაყოფად;

ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი
(2021-2022 სასწავლო წელს შესრულებული სამუშაო)

1. ,,საერთაშორისო ურთიერთობების“ და ,,ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული პროცესების წარმართვა (აკრედიტაციის საბჭოს სხდომებისთვის მომზადება და სხდომებში მონაწილეობა, დადებითი შედეგის მიღწევა)
2. ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით ტრენინგების განხორციელება
3. პროგრამის განმახორციელებლებთან ინდივიდუალური კონსულტაციების ჩატარება
4. სილაბუსების შემუშავების პროცესში მონაწილეობა და მათი კორექტირება დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად
5. პროგრამის ერთიანი დოკუმენტის და მისი დანართების კორექტირება
6. პროგრამაზე საექსპერტო დასკვნის მომზადება
7. ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის ფუნქციების განსაზღვრა შესაბამისი აქტის გამოსაცემად
8. ჯგუფის მუშაობის ადმინისტრირება
9. ინფორმაციის/მონაცემების შეგროვება და ანალიზი
10. ინფორმაციის/მონაცემების დამუშავების შედეგების თვითშეფასების ფორმაში ასახვა და გაზიარება
11. მტკიცებულებების იდენტიფიცირებაში მონაწილეობა და მათი სისტემატიზაცია
12. პროგრამის კატალოგისთვის ინფორმაციის მომზადება
13. კომპიუტერული მეცნიერების და მედიცინის პროგრამების თვითშეფასების ჯგუფების ფუნქციების განსაზღვრა შესაბამისი აქტის გამოსაცემად
14. ჯგუფის მუშაობის ადმინისტრირება
15. ინფორმაციის/მონაცემების შეგროვება და ანალიზი
16. თვითშეფასების შუალედური ანგარიშების მომზადება
17. პროგრამის კომიტეტების მუშაობაში ჩართულობა
18. აკრედიტაციასთან/სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სხვადასხვა სიპებში გასაგზავნი წერილების პროექტების მომზადება
19. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირება
20. გარე რეგულაციებში განხორციელებული ცვლილებების იმპლემენტაცია შიდა რეგულაციებში/საგანმანათლებლო პროგრამებში/პროცესებში
21. საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტების გადამუშავება/გადამუშავებაში მონაწილების მიღება (პროგრამების შემუშავების და განხორციელების, სასაწავლო პროცესის რეგულირების, კრედიტების აღიარების, გამოცდების ჩატარების, ეთიკის კოდექსი, სხვა რეგულაციები)
22. არსებული მეთოდური სახელმძღვანელოის გადამუშავება/გაახლება (აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების შესახებ) და ახალი სახელმძღვანელოს მომზადება (პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ)
23. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში არსებული კითხვარების მოდიფიცირებასთან დაკავშირებით ANOVA-სთან თანამშრომლობა

24. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობა (უმაღლესი განათლების და პროფესიული განათლების საკითხებზე)
25. სასწავლო პროცესის ორგანიზება, აკადემიური კალენდრის შემუშავება
26. სასწავლო ცხრილების ფორმირება
27. საგამოცდო ცხრილების (შუალედური და დასკვნითი, ძირითადი და გადაბარების) ფორმირება
28. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, ერთსაფეხურიანი) შედგენაში მონაწილეობა და ელექტრონულ პორტალზე მონაცემების ასახვა
29. შიდა მობილობის ვადების განსაზღვრა და პროცესის ადმინისტრირება
30. გარე მობილობის ადგილების განსაზღვრაში მონაწილეობა და მონაცემების პორტალზე ასახვა
31. მობილობის ფარგლებში შემოსული დოკუმენტების პირველადი შესწავლა, ადრესატებთან გადამისამართება და უკუკავშირის მიღება
32. შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე გარე მობილობასთან დაკავშირებული ინფორმაციის პორტალზე ასახვა
33. გარე მობილობის მსურველთა ჩარიცხვის აქტის პროექტის მომზადება და პორტალზე ასახვა
34. ხარისიხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების შედეგების ანალიზი და შესაბამისი ანგარიშის მომზადება
35. ახალი გამოკითხვების და ხარისხის უზრუნველყოფის სხვა მექანიზმების გამოყენების პროცესის ორგანიზება
36. მედიცინის სკოლის სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად განათლების და მეცნიერების სამინისტროში გასაგზავნი დოკუმენტების და სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობების მონიტორინგი
37. მედიცინის სკოლაში ჩარიცხვის მსურველების/სკოლის სტუდენტების საგანმანათლებლო დოკუმენტების (კრედიტების) აღიარების დასკვნების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა დიპლომების ფორმების შემუშავების და მათ ენობრივ სისწორეზე შემოწმების პროცესში მონაწილეობა
38. დიპლომების ფორმების შემუშავების და მათ ენობრივ სისწორეზე შემოწმების პროცესში მონაწილეობა